

# რატომ არის ზღვა მუდმივად მლაშე?

იწი, რატომ არის ზღვა მარილიანი? ნაიკითხე ტექსტი და შემომონშე შენი წოდნა.

ზღვის წყალი **მლაშეა**. მასში მარილის დიდი მარაგია. იცი, რა მოხდება, მთელი მარილი ხმელეთზე **თანაბრად** რომ განაწილდეს? მარილის ფენის სისქე 150 მეტრი იქნება. ეს კი შენობის 45 სართულის ტოლი მაინც არის.

მარილი დიდი რაოდენობით იხარჯება. მას იყენებს ადამიანი. მარილს შეინოვს წყალში მობინადრე უამრავი არსება. მათ შორის არიან მარჯნის პოლიპი და მოლუსკი. მარილი მათ ნიჟარასა და ჩონჩხს სჭირდება. ზღვაში ასევე ბევრი უმარილო წყალიც ჩაედინება. თუმცა მარილის რაოდენობა მასში მაინც არ იკლებს. რატომ ხდება ეს? რა არის ამის მიზეზი?

ალბათ იცი, რომ ნიადაგში მრავალი სახის მარილია. წვიმის დროს მარილი წყალში იხსნება. შემდეგ კი ის **ნიაღვარს** ზღვაში ჩააქვს. გარდა ამისა, თურმე წყალს მარილით ქარიც ამარაგებს. ქარს ხმელეთიდან წყალში გადააქვს მტვერი. მას მიჰყვება მარილის ნაწილაკებიც. ზღვის წყალს მარილს ასევე აწვდის **ვულკანიც**. ეს მაშინ ხდება, როცა ვულკანი წყალში იფრქვევა. ამ დროს მას მინის **ნიალიდან** ამოაქვს ცხელი **ლავა**. ლავაც მარილებს შეიცავს. ასე შეერევა ხოლმე დამდნარი მარილი ზღვის წყალს. აი ამიტომ არის ზღვა **მუდმივად** ზომიერად მლაშე. მაგრამ თუ ზედმეტად დამლაშდა, იქ ცოცხალი არსება ვერ გაძლებს. ამის მაგალითია მკვდარი ზღვა.

რა გაიგე ახალი ტექსტიდან?



## ▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

### 1 ტექსტის პირველი აბზაციდან ვიგებთ:

- ა) რატომ არის ზღვის წყალი მლაშე.
- ბ) როდის არის ზღვაში ბევრი მარილი.
- გ) როგორ ჩნდება ზღვაში მარილი.

### 2 მეორე აბზაცში ახსნილია იმის მიზეზი, თუ:

- ა) რატომ არ იკლებს მარილის რაოდენობა ზღვაში.
- ბ) რატომ იხარჯება მარილის დიდი რაოდენობა.
- გ) რატომ ჩაედინება ზღვაში უმარილო წყალი.

### 3 როდის იხსნება ნიადაგში არსებული მარილის ნაწილაკები უფრო კარგად?

- ა) მიწისძვრის დროს.
- ბ) ქარის დროს.
- გ) წვიმის დროს.

### 4 ვულკანის ამოფრქვევისას ზღვა ივსება მარილის მარაგით, რადგან:

- ა) ვულკანური ლავა მარილებს შეიცავს.
- ბ) ვულკანური ლავა სწრაფად ცივდება.
- გ) ვულკანური ლავა ძალიან ცხელია.

### 5 რატომ არ იკლებს მარილის რაოდენობა ზღვაში?

- ა) რადგან იქ მარილი ზომავზე მეტია.
- ბ) რადგან მარილის მარაგი მუდმივად ივსება.
- გ) რადგან წყალში მარილი არ იხარჯება.

## ▶▶▶ ლექსიკა

### 1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

- ზღვის წყალი არის **მლაშე**.
  - ა) ძალიან დაბინძურებული.
  - ბ) ძალიან მარილიანი.
  - გ) ძალიან სუფთა.
- წარმოიდგინე, რომ მარილის მთელი მარაგი ხმელეთზე **თანაბრად** გაანაწილეს.
  - ა) ზუსტად.
  - ბ) მთლიანად.
  - გ) ტოლად.
- ზღვა **მუდმივად** მარილიანია.
  - ა) ზოგჯერ.
  - ბ) ყოველთვის.
  - გ) ძალიან.

### 2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

- ვულკანი            წვიმის შედეგად მოვარდნილი წყალი.
- წიალი             ვულკანის დროს მიწის წიალიდან ამოფრქვეული გამდნარი ქანები.
- ლავა                მიწის სიღრმე.
- წიალვარი        მიწის წიალიდან ცხელი ლავის ამოფრქვევა.

### 3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

- ა) მლაშე – უმარილო.      ბ) ზომიერი – ზედმეტი.      გ) ცხელი – მზურვალე.

### 4 რომელია ზედმეტი სიტყვა?

- ა) ბევრი.      ბ) ვეებერთელა.      გ) მრავალი.      დ) ურიცხვი.

## ▶▶▶ გრამატიკა

### 1 დაწერე მრავლობით რიცხვში ნიმუშის მიხედვით.

**ნიმუში: ნიჟარა – ნიჟარები**

1. ზღვა – ..... .      3. მდინარე – ..... .

### 2 დაწერე სწორი ფორმით ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

ქარს (ხმელეთი) ----- მტვერი (ზღვა) ----- გადააქვს.

**ბრამატიკა**

3 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მარილი — უმარილო

1. მიზეზი — .....

2. წყალი — .....

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

ჭირდება.

სჭირდება.

1.  მრავალი ნაწილაკი.

მრავალი ნაწილაკები.

2.  ზომიერათ.

ზომიერად.

3.  მიჰყვება.

მიყვება.

**წერა**

1 ტექსტის მიხედვით დაწერე ყველა მიზეზი, თუ რატომ არის ზღვა მუდამ მარილიანი.

ზღვაში მარილის დიდი მარაგია.



2 წარმოიდგინე, რომ ადამიანებმა გადაწყვიტეს მკვდარი ზღვის გაცოცხლება. გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო იდეის გამოსავლენად. შენ რა გეგმას შესთავაზებდი მათ?

ჩაწერე გეგმა სქემაში. შენი ნამუშევარი გააფორმე ნახატით.

რა უნდა გაკეთდეს?	რა შედეგს მოგვცემს?
-----	-----
-----	-----
-----	-----
-----	-----
-----	-----
-----	-----
-----	-----